პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ ივნისი"

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ასევე 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N21 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში (ა,ბ,გ) , ცვლილების პროექტი. (ვებგვერდი:28/12/2023 წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.113.016505)

მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი (ა,ბ,გ) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.გამონაკლის შემთხვევაში – პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომელიც ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერის მიერ შექმნილი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების სამუშაო ჯგუფი/კომისია.

ა) მომსახურების სარგებლობის უფლება ენიჭებათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში უწყვეტად რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს სადაც მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

ბ) ბენეფიციარებს პროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ სამედიცინო მომსახურების ღირებულების (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით) 80%, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა;

გ) კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ბენეფიციარისთვის შესაბამისი თანხა, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით გადაეცეს ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია